



ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ  
საქმეთა ინსტიტუტში  
სწავლა-სწავლების, კვლევით და განვითარებაზე  
ორიენტირებულ საქმიანობებში ხელოვნური  
ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების  
პოლიტიკა

დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს  
საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის  
რექტორის 2026 წლის 12 ივნისის N01-26/138  
ბრძანებით

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები და მიზანი

1.1 წინამდებარე პოლიტიკა ადგენს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სწავლა-სწავლების, კვლევით და შემოქმედებით მუშაობასა და განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობებში ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების გამოყენების წესებს.

1.2 ამ პოლიტიკის მიზანია საუნივერსიტეტო დონეზე იმ მინიმალური სტანდარტის დადგენა, რომელიც ხელს უწყობს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკურ, პასუხისმგებლობიან და კომპეტენტურ გამოყენებას, რაც ეფუძნება აკადემიური და სამეცნიერო კეთილსინდისიერების პრინციპებს, და ამავდროულად, ქმნის სივრცეს განათლებასა და კვლევაში ამ ინსტრუმენტების დასაშვები და სასარგებლო გამოყენებისათვის.

1.3 წინამდებარე პოლიტიკა წარმოადგენს უნივერსიტეტის ჩარჩო დოკუმენტს. მისი ფარგლების გათვალისწინებით, კურსის განმახორციელებელმა/კვლევით საქმიანობაში ჩართულმა პირებმა, ისევე როგორც ცალკეულმა პროგრამებმა, შესაძლოა განსაზღვრონ უფრო კონკრეტული ინსტრუქციები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტულ სასწავლო კურსზე, კვლევაზე, დისციპლინაზე ან/და სწავლების საფეხურზე, იმ პირობით, რომ ეს ინსტრუქციები შესაბამისობაში იქნება წინამდებარე პოლიტიკასთან და დაინტერესებულ პირებს წინასწარ ეცნობებათ.

1.4 წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიური, პროფესიული, ასევე ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის მიერ ორგანიზებული პროგრამების კურსის განმახორციელებელ პირებზე, სტუდენტებზე/პროფესიულ სტუდენტებზე, მსმენელებზე ან/და სხვა პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის სასწავლო, კვლევით ან განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში.

1.5 თუ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი დარწმუნებული არ არის, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფა AI ინსტრუმენტს, იგი ვალდებულია კონსულტაციისთვის წინასწარ მიმართოს კურსის განმახორციელებელ პირს/ნაშრომის ხელმძღვანელს.

1.6 წინამდებარე პოლიტიკა არ ზღუდავს კურსის განმახორციელებელი/კვლევით საქმიანობაში ჩართული პირის უფლებამოსილებას, არ დაუშვას კონკრეტული AI ინსტრუმენტის გამოყენება თავის სასწავლო კურსში/კვლევაში, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

2.1 ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი („AI ინსტრუმენტი“) - ნებისმიერი გამოთვლითი სისტემა, აპლიკაცია ან სერვისი, რომელიც მომხმარებლის პრომპტის (მოთხოვნის) ან შეყვანილი მონაცემების პასუხად აგენერირებს ან არსებითად გარდაქმნის შინაარსობრივ მასალას - ტექსტის,

კოდის, გამოსახულების, აუდიოს, ვიდეოს, თარგმანის, მონაცემთა ანალიზის ან სხვა პროდუქტის სახით - მონაცემთა ფართო მასშტაბზე გაწვრთნილ სტატისტიკურ მოდელზე დაყრდნობით და არა წინასწარ შექმნილი ფიქსირებული შედეგების ამოღების გზით. აღნიშნული ტერმინი მოიცავს ზოგადი დანიშნულების გენერაციულ სისტემებს (როგორცაა, მათ შორის, სასაუბრო ასისტენტები და ჩატბოტები) და სხვა პროგრამულ უზრუნველყოფაში ინტეგრირებულ ხელოვნური ინტელექტის ფუნქციებს. ტერმინი არ მოიცავს ჩვეულებრივ გამოთვლით დამხმარე საშუალებებს, რომლებიც არ აგენერირებენ ან არსებითად არ გარდაქმნიან შინაარსობრივ მასალას, როგორცაა მართლწერისა და გრამატიკის შემოწმების საბაზისო პროგრამები, კალკულატორები, ბიბლიოგრაფიის/ციტირების მართვის პროგრამები ან/და სამიუბო სისტემები, ასევე აუდიო-ტექსტების ტრანსკრიფციის ხელსაწყოები და კვლევის პროცესში მონაცემების შეგროვება-დამუშავების/ვიზუალიზაციის მიზნით გამოყენებული ტექნიკური პროგრამები.

**2.2 AI ინსტრუმენტის გამოყენება** - AI ინსტრუმენტისთვის პრომპტის/მოთხოვნის გაგზავნა ან მისი სხვაგვარად გამოყენება ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაში დახმარების მისაღებად ან მის შესაქმნელად.

**2.3 განაცხადი AI ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ** - ნაშრომში ან მის თანმხლებ დოკუმენტაციაში გაკეთებული მკაფიო განაცხადი იმის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნა AI ინსტრუმენტი, კონკრეტული ინსტრუმენტის იდენტიფიცირებითა და მისი გამოყენების მიმართულებების აღწერით.

**2.4 AI-ის გამოვლენის ინსტრუმენტი** - ხელოვნური ინტელექტის დეტექციის/გამოვლენის სერვისი ან მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ნაშრომში გამოვლინდეს AI ინსტრუმენტის გამოყენების ფაქტი.

**2.5 პროგრამა** - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურზე, პროფესიული პროგრამებისა და ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის მიერ ორგანიზებული პროგრამების ჩათვლით.

**2.6. AI-ს მიერ გენერირებული შედეგი** - ნებისმიერი სახის ციფრული, შინაარსობრივი ან ანალიტიკური პროდუქტი, რომელიც შექმნილია, დამუშავებულია ან არსებითად მოდიფიცირებულია ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემებისა და ალგორითმების გამოყენებით, მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინსტრუქციის (პრომპტის) ან სხვა საწყისი მონაცემების საფუძველზე.

**2.7 კურსის განმახორციელებელი პირი** - უნივერსიტეტის მოწვეული და აკადემიური პერსონალი, პროფესიული მასწავლებელი, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ტრენერი/ლექტორი.

**2.8 კვლევით საქმიანობაში საქმიანობაში ჩართული პირი** - კვლევით საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირი, შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში.

2.9 ნაშრომი - სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ფარგლებში შესრულებული ნებისმიერი სახის აკადემიური, პრაქტიკული თუ შემოქმედებითი პროდუქტი/სამუშაო.

**მუხლი 3. AI ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო კურსებში**

3.1 კურსის განმახორციელებელმა პირმა სილაბუსში უნდა ასახოს საკუთარი გადაწყვეტილება AI ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე და განსაზღვროს ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული კატეგორიისათვის დასაშვებობის ერთ-ერთი ვარიანტი:

კატეგორია	დასაშვებობა
(ა) AI-ის გამოყენება აუდიტორიაში (სასწავლო პროცესში)	(i) ნებადართულია
	(ii) აკრძალულია
	(iii) განისაზღვრება კურსის განმახორციელებელი პირის (ლექტორის/ინსტრუქტორის) მიერ კონკრეტული აქტივობის მიხედვით
(ბ) AI-ის გამოყენება აუდიტორიის მიღმა, მეცადინეობისა და მომზადების პროცესში	(i) ნებადართულია
	(ii) აკრძალულია
	(iii) განისაზღვრება კურსის განმახორციელებელი პირის (ლექტორის/ინსტრუქტორის) მიერ კონკრეტული აქტივობის მიხედვით
(გ) AI-ის გამოყენება დამოუკიდებელ/საშინაო დავალებებისთვის	(i) ნებადართულია
	(ii) აკრძალულია
	(iii) განისაზღვრება კურსის განმახორციელებელი პირის (ლექტორის/ინსტრუქტორის) მიერ კონკრეტული აქტივობის მიხედვით

3.2 სასწავლო კურსის სილაბუსში ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ინტეგრირებისა და გამოყენების პირობები რეგულირდება წინამდებარე პოლიტიკის დანართი N1-ის შესაბამისად.

3.3 ნაგულისხმევი წესი - ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც კურსის განმახორციელებელ პირს სილაბუსში არ აქვს განაცხადი AI ინსტრუმენტების კონკრეტული ფორმით გამოყენების აკრძალვის შესახებ, ითვლება, რომ ეს გამოყენება ნებადართულია.

3.4 კურსის განმახორციელებელ პირებს ემლევათ რეკომენდაცია, AI ინსტრუმენტების კონკრეტული ფორმით გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები შეუსაბამონ სასწავლო კურსის მიზნება და სწავლის შედეგებს.

#### **მუხლი 4. AI ინსტრუმენტების გამოყენება კვლევაში**

4.1 შესაბამის დისციპლინაში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, კვლევის წარმოებისას, პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილია განსაზღვროს AI ინსტრუმენტების ნებადართული და აკრძალული გამოყენების წესები.

4.2 პროგრამის კვლევითი სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე პოლიტიკას და წინასწარ უნდა ეცნობოს სტუდენტებს, მკვლევრებსა და ნაშრომის ხელმძღვანელებს. ამ სტანდარტების ფარგლებში, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს შეუძლია გასცეს უფრო კონკრეტული მითითებები ინდივიდუალური კვლევითი პროექტისთვის.

4.3 აკადემიური პერსონალი ან/და უნივერსიტეტთან სხვა სტატუსით დაკავშირებული პირი, რომელიც უნივერსიტეტის დაფინანსებით/სახელით ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით ნაშრომს/პროექტს, უფლებამოსილია ამ ნაშრომის/პროექტის მიზნებისთვის გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენება წინასწარ დაშვებულია უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის ან უნივერსიტეტის იმ სტრუქტურული ერთეულის/პირის მიერ, რომლის ზედამხედველობით/დავალებით ხორციელდება კვლევითი/შემოქმედებითი ნაშრომი/პროექტი.

#### **მუხლი 5. განაცხადი AI ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ**

5.1 როდესაც სტუდენტი/პროფესორული სტუდენტი/მსმენელი ნაშრომის შესასრულებლად იყენებს AI ინსტრუმენტს, მან უნდა წარადგინოს განაცხადი აღნიშნული გამოყენების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კურსის განმახორციელებელი პირი/ნაშრომის ხელმძღვანელი სხვაგვარ მითითებას გასცემს.

5.2 თუ ნაშრომში გამოყენებული იდეების, ტექსტის ან ციტატების წყარო ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტია, სტუდენტი ვალდებულია, მიუთითოს იგი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა წყარო. აღნიშნული უნდა შესრულდეს უნივერსიტეტის „პლაგიატის თავიდან არიდების შესახებ სტუდენტთა ინსტრუქციის“ შესაბამისად.

## **მუხლი 6. პასუხისმგებლობიანი გამოყენება და შედეგების გადამოწმება**

6.1 AI ინსტრუმენტების გამოყენება არ ამცირებს და არ გამორიცხავს პირის პროფესიულ, აკადემიურ თუ ეთიკურ ვალდებულებებს. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, კურსის განმახორციელებელი/კვლევით საქმიანობაში ჩართული პირი ან სხვა ნებისმიერი პირი (შემდგომში - მომხმარებელი) სრულად რჩება პასუხისმგებელი AI ინსტრუმენტის დახმარებით შექმნილი, დამუშავებული ან გენერირებული შედეგის შინაარსზე, სიზუსტეზე, ხარისხზე, აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და სამართლებრივ/ეთიკურ შესაბამისობაზე.

6.2 გამომდინარე იქიდან, რომ AI ინსტრუმენტების მიერ გენერირებული შედეგები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს, არაზუსტ, მოძველებულ, მიკერძოებულ, არასრულ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, მომხმარებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ AI ინსტრუმენტი არ განიხილება როგორც ავტორიტეტული ან უტყუარი წყარო.

6.3 AI ინსტრუმენტის მიერ გენერირებული ან დამუშავებული ინფორმაციის, მონაცემების, ციტატებისა და სხვა შინაარსის პირველწყაროებთან გადამოწმება წარმოადგენს მომხმარებლის უშუალო ვალდებულებას.

6.4 დაუშვებელია AI ინსტრუმენტის მიერ გენერირებული შედეგის ავტომატურად, კრიტიკული შეფასებისა და სათანადო გადამოწმების გარეშე გამოყენება ისეთ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია აკადემიურ და კვლევით საქმიანობასთან.

6.5 უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას არ იღებს მომხმარებლის მიერ AI ინსტრუმენტის გამოყენებით მესამე პირთა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესაძლო დარღვევაზე. ამგვარ დარღვევაზე სრული სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

## **მუხლი 7. კურსის განმახორციელებელ და კვლევით საქმიანობაში ჩართულ პირთა ვალდებულებები**

7.1 კურსის განმახორციელებელ და კვლევით საქმიანობაში ჩართულ პირებს, რომელიც იყენებენ AI ინსტრუმენტებს, მოეთხოვებათ კომპეტენტურობა მათი გამოყენებისას და სრულად რჩებიან პასუხისმგებელნი AI-ს დახმარებით შესრულებული ნებისმიერი სამუშაოს სიზუსტესა და ხარისხზე.

7.2 კურსის განმახორციელებელი/კვლევით საქმიანობაში ჩართული პირი ვალდებულია დაიცვას კვლევისა და აკადემიური ეთიკის სტანდარტები (მათ შორის პლაგიატის თავიდან აცილება და წყაროების გადამოწმება) AI ინსტრუმენტების გამოყენებისას იმავე ხარისხით, როგორც მათი გამოყენებლობის შემთხვევაში.

## **მუხლი 8. AI-ს გამოყენების გამოვლენა**

8.1 წინამდებარე პოლიტიკის შესაძლო დარღვევის იდენტიფიცირების მიზნით, კურსის განმახორციელებელი პირი/ნაშრომის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოიყენოს AI-ის დეტექციის/გამოვლენის ინსტრუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.2 AI-ის დეტექციის/გამოვლენის ინსტრუმენტის შედეგი შეიძლება გახდეს შესაძლო დარღვევის შესახებ საკითხის დამატებითი შესწავლის საფუძველი, თუმცა ის, თავისთავად, არ წარმოადგენს დარღვევის არსებობის საბოლოო და უტყუარ მტკიცებულებას.

## **მუხლი 9. მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა**

9.1 AI ინსტრუმენტების ნებისმიერი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის მოქმედ მოთხოვნებს, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას.

9.2 პერსონალური, კონფიდენციალური (მათ შორის საუნივერსიტეტო, კვლევითი ან მესამე პირებთან დაკავშირებული არასაჯარო ინფორმაციის) ან სხვაგვარად დაცული მონაცემების შეყვანა AI ინსტრუმენტში აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის ნებადართული წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად.

## **მუხლი 10. დარღვევები და მათი გადაწყვეტის წესი**

10.1 სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ წინამდებარე პოლიტიკის დარღვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს შემდეგ შემთხვევებში:

10.1.1 აკრძალული გამოყენება - AI ინსტრუმენტის გამოყენება იმ ფორმით ან იმ შემთხვევებში, რაც აკრძალული იყო;

10.1.2 გაუმჟღავნებლობა - AI ინსტრუმენტის გამოყენება ნებადართული ფორმით, თუმცა ამ გამოყენების შესახებ განაცხადის წარუდგენლობა ან/და ციტირების მოთხოვნის შეუსრულებლობა წინამდებარე პოლიტიკის მე-5 მუხლის შესაბამისად.

10.2 სავარაუდო დარღვევის საკითხი თავდაპირველად უნდა განიხილოს სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტებმა/მსმენელმა და კურსის განმახორციელებელმა პირმა/ნაშრომის ხელმძღვანელმა. სასწავლო პროცესის მიღმა განხორციელებული კვლევის ფარგლებში, აღნიშნული საკითხი განიხილება უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის ან უნივერსიტეტის იმ სტრუქტურული ერთეულის/პირის მიერ, რომლის ზედამხედველობით/დავალებით ხორციელდება კვლევითი/შემოქმედებითი ნაშრომი/პროექტი.

10.3 თუ საკითხი ვერ გადაწყდება წინამდებარე მუხლის 10.2 პუნქტის შესაბამისად, შემდგომი რეაგირების მიზნით საკითხი გადაეცემა შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს.

10.4 თუ შესაბამისი პროგრამის დონეზე ვერ მოხერხდა შეთანხმება სავარაუდო დარღვევის ფაქტის გადაწყვეტის თაობაზე, საკითხი განიხილება უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად.

10.5 სავარაუდო დარღვევის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ან/და მკვლევარს აქვს საკუთარი პოზიციის დაცვის უფლება. აღნიშნული მოიცავს საკითხის განხილვის პროცესში მის უშუალო მონაწილეობას და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობას, როგორცაა ნაშრომის შექმნის პროცესის ამსახველი სამუშაო ფაილების ისტორია, სამუშაო ვერსიები, გამოყენებული ლიტერატურის ჩანაწერები და სხვა რელევანტური მასალა.

10.6 სავარაუდო დარღვევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ობიექტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არის საკმარისი დარღვევის უტყუარად დასადასტურებლად, საკითხი წყდება არსებული ეჭვის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ან/და მკვლევარის სასარგებლოდ.

## **მუხლი 11. AI ცნობიერება**

11.1 უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და კურსის განმახორციელებელი/კვლევით საქმიანობაში ჩართული პირების ხელოვნური ინტელექტის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

11.2 უნივერსიტეტი პერიოდულად გაავრცელებს ინფორმაციას AI ინსტრუმენტების პასუხისმგებლობიანი გამოყენების შესახებ.

## **მუხლი 12. დასკვნითი დებულებები**

12.1 წინამდებარე პოლიტიკა ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი შესაბამისობა ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების განვითარებასთან, აგრეთვე შესაბამის დისციპლინებსა და საგანმანათლებლო სექტორში დანერგილ უახლეს პრაქტიკასთან.

12.2 წინამდებარე პოლიტიკა ძალაში შედის 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

## დანართი N1: კურსის განმახორციელებელი პირის მიერ AI-ს გამოყენების ვარიანტები - სილაბუსში მისათითებლად

ინსტრუქცია კურსის განმახორციელებელი პირისათვის: წინამდებარე ჩარჩო პოლიტიკის ფარგლებში, კურსის სპეციფიკისა და სასწავლო მიზნების გათვალისწინებით, აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ოთხი სტანდარტული მოდელიდან ერთ-ერთი და შესაბამისად ასახეთ იგი თქვენს სილაბუსში.

**ვარიანტი 1:** ხელოვნური ინტელექტის ფართო გამოყენება (სრულად ნებადართული)

- **დაშვების ფარგლები:** ამ კურსის ფარგლებში AI ინსტრუმენტების გამოყენება ნებადართულია როგორც აუდიტორიაში (სასწავლო პროცესში), ისე აუდიტორიის მიღმა, მათ შორის დამოუკიდებელი და საშინაო დავალებების მომზადებისას.
- **მიზნობრიობა:** AI ინსტრუმენტები განიხილება როგორც კვლევის, იდეების გენერირების, კოდის წერისა თუ პროდუქტიულობის გაზრდის ღირებული დამხმარე საშუალება.
- **აკადემიური კეთილსინდისიერება:** დავალების შესრულებისას AI-ს ნებისმიერი ფორმით გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მკაცრად დაიცვას ციტირების წესები უნივერსიტეტის AI პოლიტიკის მე-5 მუხლის შესაბამისად.

**ვარიანტი 2:** ხელოვნური ინტელექტის შეზღუდული გამოყენება (მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე)

- **დაშვების ფარგლები:** AI ინსტრუმენტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აუდიტორიის მიღმა, მეცადინეობისა და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში.
- **აკრძალვები:** მკაცრად აკრძალულია AI ინსტრუმენტების გამოყენება უშუალოდ სალექციო/აუდიტორიული მუშაობის დროს, ასევე დავალებების მზადების/შესრულების უშუალო პროცესში.
- **ადამიანური ძალისხმევა:** AI შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ როგორც პერსონალური ასისტენტი მოსამზადებელ ფაზაში, თუმცა წარმოდგენილი ნაშრომის საბოლოო შინაარსი სრულად უნდა წარმოადგენდეს სტუდენტის დამოუკიდებელი შრომის შედეგს.

**ვარიანტი 3:** ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სრული აკრძალვა (მხოლოდ დამოუკიდებელი ადამიანური შრომა)

- **დაშვების ფარგლები:** წინამდებარე სასწავლო კურსის ფარგლებში არ არის დაშვებული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება არც

სააღმწიქო პროცესში, არც დავალებების მომზადებისას და არც სხვა რაიმე ფორმით.

- **სასწავლო მიზნები:** საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფუნდამენტური უნარების ასათვისებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია მხოლოდ სტუდენტის პირადი გონებრივი თუ ფიზიკური ძალისხმევა.
- **შედეგები:** ნებისმიერი სახის AI-გენერირებული მასალის ან ასისტენტის გამოყენება მიიჩნევა წინამდებარე პოლიტიკის დარღვევად.

**ვარიანტი 4:** დიფერენცირებული მიდგომა (წესები განისაზღვრება კონკრეტული აქტივობის მიხედვით)

- **დაშვების ფარგლები:** კურსის განმახორციელებელი პირი ინდივიდუალურად განსაზღვრავს AI ინსტრუმენტების გამოყენების წესსა და პირობებს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- **მოქნილობა:** წესები (დაშვება ან აკრძალვა) შესაძლოა განსხვავდებოდეს კონკრეტული დავალებების, სააღმწიქო საკითხებისა თუ სხვა სასწავლო აქტივობების მიხედვით.
- **ინფორმირება:** კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია წინასწარ, მკაფიოდ აცნობოს სტუდენტებს თითოეული კონკრეტული დავალებისთვის მოქმედი წესი. აღნიშნული წესი, თითოეული დავალების შემთხვევაში, განსაზღვრული უნდა იყოს კურსის სილაბუსში.
- **აკადემიური კეთილსინდისიერება:** დავალების შესრულებისას AI-ს ნებისმიერი ფორმით გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მკაცრად დაიცვას ციტირების წესები უნივერსიტეტის AI პოლიტიკის მე-5 მუხლის შესაბამისად.